ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდის"
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი 1-5

ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდის" მიერ 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო განცხადების (N1533) შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციების შერჩევა-შეფასებასთან დაკავშირებით 2015 წლის 16 აპრილს შედგა ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდის" საკონკურსო კომისიის სხდომა,

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის წევრები შემდეგი შემადგენლობით:

ა) თავმჯდომარე: ავთანდილ დარჩია;

ბ) წევრი: ელგუჯა ხაზარაძე (მოწვეული);

გ) წევრი: ამირან შაქარაძე;

დ) წევრი: გიორგი კაცაძე;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საკითხი: ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსში (1533) წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით;

განიხილეს: საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ საკონკურსო განცხადების (1533) შედეგებს, რომლის თანახმადაც აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა: შპს „არტგრუპი" (ს/კ 445458291).

კომისიამ განიხილა პრეტენდენტის (შპს „არტგრუპი") შემოთავაზება, აღინიშნა, რომ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნასთან, კომისიის წევრებმა განახორციელეს კონკურენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება კრიტერიუმისა და პრიორიტეტულობის მიხედვით (დანართები თან ერთვის).

ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსში (1533) წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა, საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასების მიხედვით შპს „არტგრუპი"-ს მინიჭებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 27.8 ---------- ქულა. შესაბამისად პრეტენდენტი (შპს „არტგრუპი") გამოვლინდა გამარჯვებულად.

კომისიამ იმსჯელა საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და დაადგინა:

1). ააიპ ბათუმის განვითარების ფონდის მიერ ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსში (1533) გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „არტგრუპი";

2). აღნიშნულის შესახებ ეცნობოს პრეტენდენტს (შპს „არტგრუპი") და 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდეს ხელშეკრულება;

3) საკონკურსო კომიისის ოქმები და თანდართული დოკუმენტაციები გადაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემაში ატვირთვისა და კონკურსზე სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია" მინიჭების მიზნით.

/ავთანდილ დარჩია/

/ამირან შაქარაძე/

/ელგუჯა ხაზარაძე /

/გიორგი კაცაძე/